

832
1967



ქართული სსრ. სსსრ.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

№ 47

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დიქტატურის დღესასწაული.

ინა ივანოვსკი—ქორდანიას ხსოვნას.

მ. იმნაიშვილი—ბოლშევიზმის იდეოლოგიური საფუძვლები.

კ. ინახარიძე—ოქტომბერი და საქართველო.

ხემდ-იმეშვილი—ჭიათურის წარსულიდან.

ილ. ბაზველი—გაკვრით.

სოლჟენიცინის წერილი.

კავკასიის ერების დამოუკიდებ. დღესასწაული შ. შტატებში.

მეგობარი—სანდრო ჯუჯინას ხსოვნას. და სხვ.

პარისი.

დეკემბერი.

Paris.

1967

ლიტაბუკის ღმსხსნაული.

ოქტომბერი არაა ხალხის დღესასწაული, რადგან ოქტომბერმა გზა გადაუჭრა თებერვლის დემოკრატიულ-ხალხურ იდეებს, მოაწყო შეთქმულება ხალხისგან არჩეულ საკრებულოს წინააღმდეგ, ძალადობით გარეკა იგი და აღმართა დიქტატურის დროშა. ორმოცდაათი წელია მართავს უზარმაზარ იმპერ-ას ტერორით და პოლიციური აპარატით. მიღწევები? რასაკვირველია აქვს, აშენდა ქარხნები, მოხდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რანაირი წესწყობილება აკრავდა ილია რუსეთში, ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ დიდი ერის საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინებოდა და იგი აცდებოდა ნორმალურ განვითარების გზას. დღეს ხომ ნათლად ვხედავთ კერძო ეკონომიკაში თავისუფალ ქვეყნების სახალხო სამეურნეო წარმოების გაფართოებას, რასაც ნაციონალურ სიმდიდრის დაგროვება მოჰყვა და აქედან ხალხის კეთილდღეობა. კიდევ მეტი ცნობილი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ 1845 წლიდან ვიდრე 1914 წლამდე, რუსეთში დაწყებული ინდუსტრიალიზაციის მრეწველობის განვითარების დონე პირველად იყო დაიჭურდა ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

თებერვლის რევოლუციის—სახალხო მართველობის სისტემის შემოღება და განმტკიცება იძლეოდა ამ განვითარების სრულ გარანტიას...

ლენინი და მისი პარტია მოექცა რა სათავეში ძალაუფლებას, დაიწყო საკუთარ იდეოლოგიურ საფუძველზე, არსებითად ნაროდნიკულ-ნეჩაევ-ტკაჩევის «სოციალისტური დროშით»—მალიდან კარნახით, ხალხზე ბატონობით საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობას... პირველ ხანებში თუ იყო ომი-სგან დაქანცულ მასსების მისამზრობად წამოყენებული ბრავალი უკიდურესი ხასიათის ლოზუნგები, მათ განხორციელება არ ღირსებია... საკმარისია აღვნიშნოთ უმთავრესი: ესაუკლასო საზოგადოების და მით სახელმწიფოს მოსპობა. ოქტომბრის ნაკვალევზე წარმოიშვა მესაკუთრეთა ახალი ფორმა, რომლის გამგე და პატრონია ახალი წოდება, ახალი პრივილეგიური, არისტოკრატიული საზოგადოება. მართალია არცერთ კომუნისტის სახელზე არაა ჩაწერილი საკუთრება, მაგრამ თუ საკუთრება მისი გამოყენებით განისაზღვრება, კომპარტიის მეთაურობა, მაღალი ბიუროკრატია, მასკარგა ხანია დაეპატრონა და მით სარგებლობს... მეორეს მხრივ არათუ მოსპო სახელმწიფო—პირიქით იგი განდა მისი თავშესაფარი

30279



და მფარველი... თვით პარტიამ დაჰკარგა იდეური მისწრაფება, გადაიქცა კარიერის მაძიებელ ბანაკათ, პარტიის და ხალხის ინტერესები გაიყო. საბჭოთა მთავრობამ შექმნა შრომის ისეთი პირობები, რომ მშრომელი მასსა არაა დაინტერესებული შრომის ნაყოფიერების გადიდებით... წარმოიშვა ახალი სოციალური ურთიერთობა, მოხდა არა შრომის ემანსიპაცია, არამედ მისი ექსპლოატაცია. მთელი ძალაუფლება საბჭოებს, იყო გადმოსროლილი დაპირება, საბჭო როგორც ხალხის წარმომადგენლობა გაჰქრა, დარჩა არსებითად მალლიდან დანიშნული საბჭოები—ცენტრალურ ხელისუფლების ამრეფლებელი. არჩევნები ხომ სათვალმაქცია, თვალის ასახვევად მოგონილი. ოქტომბერი პირდებოდა მცხოვრებთ პოლიტიკურ თავისუფლებას; ვხედავთ თუ როგორ განხორციელდა. პირდებოდა გლეხობას მიწას, გლეხისთვის ნაგლეჯი მიწა სანუკერელი შეიქნა. პირდებოდა ჯარების გაუქმებას—შექმნა მძლავრი სამხედრო ძალა, იმპერიალისტური მიზნების მისაღწევათ...

მაშასადამე, არცერთი დაპირება ოქტომბრისა არ შესრულდებოდა, არცერთი ლოზუნგი პოლიტიკურ-სოციალური ხასიათისა არ განხორციელებულა. სამაგიეროთ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია იამაყოს, რომ მან ფრთა შეასხა რუს შოვინისტურ და იმპერიალისტურ მისწრაფებებს. წითელი დროშებით მან დაიპყრო კავკასიის ერები, მოსპო მათი დამოუკიდებლობა. შეიერთა ბალტიის სახელმწიფოები, გაბატონდა ბალკანეთზე. გაიხსენა პეტრე დიდის ანდერძი და მშვიდობიანად შესძლო დარდანელში გაძრომა და მუდამ სანატორელ ხმელთაშუა ზღვაზე გამოვიდა. ცდილობს აქლო აღმოსავლეთზე თავის გავლენის გავრცელებით დაწოლა მოახდინოს ევროპის ზოგიერთ საკითხების თავის სასარგებლოთ გადსაწყვეტათ. მაგრამ მშვიდობიან თახაარსებობის ნიღაბის ქვეშ გატარებულ დიპლომატიურ თამაშს აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, იწვევს საწინააღმდეგო რეაქციას. საბჭოთა რუსეთის ნამდვილი ზრახვები—შეუმჩნეველი, გაუმხელი არ ხდება და მას ეპირისპირება ცივი ომის ტალღები, რომლებიც ააშკარავენ მოსკოვის იმპერიალიზმის ნამდვილსახეს. მხოლოდ რაც უმთავრესია დასავლეთის მშრომელი მასები თანდათანობით გაემიჯნენ ოქტომბრის «სოციალიზმს». უკუაგდეს პირველი წლების ილიუზია—მოსკოვის კომპარტიის იდეოლოგიის დამარცხებას ხელი შეუწყო დასავლეთის ეკონომიურ კრიზისების დაძლევა. რამოდენიმე თვით კაპიტალისტურ სამყაროს ევოლიუციამ, მუშათა კანონმდებლობის გაფართობამ და პროფ. კავშირებისთვის სახელმწიფოსგან უფლებების მინიჭებამ. მოისპო პირვანდელი გავლენა მოსკოვის უცხო კომპარტიებზე, რომლებიც დაადგენ რამოდენიმე რეფორმისტულ გზას. ევროპის სოციალიზმი ნელის მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ არა ლენინ-სტალი-

ნის დროშით. არა კატაკლიზმების და სისხლის ღვრით, არამედ დემოკრატიული მეთოდით, ისტორიულ აუცილებლობის შედეგათ, — ტექნიკურ განვითარების და პოლიტიკური თავისუფლების გზით. საბჭოთა ხელისუფლების ძალადობის პოლიტიკა ვერასოდეს შექმნის ხალხთა მეგობრობას, მათ დაახლოებას, რასაც ყოველდღიურად ამტკიცებს საბჭოთა პრესა. პირიქით ამ ძალადობით მოთავსებული ერთა ნაციონალური სახეობა თანდათანობით საფრთხეში ვარდება. მრავალი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკა ითრევის თავის წიაღში ახალ თაობებს, უკარგავს მათ ეროვნულ შეგნების-განვითარების უნარს, აყენებს გადაგვარების გზაზე. დროთა სიხანგრძლივეში ცენტრალიზებული — კოლონიალური — პოლიტიკიდან გამოწვეული მუშათა ხელის იძულებითი მიგრაცია, სასკოლო პოლიტიკა, რუსული სკოლების გამრავლება ადგილობრივად, ახალგაზდობის საბჭოთა მოქალაქეთ ფორმირება, ადგილობრივ ადმინისტრაციის ცენტრთან დამორჩილება — საკმარისია, რომ მომავლ ის საშიშროება რეალურად წარმოვიდგინოთ...

მხედრულად ძლიერი, საბჭოთა იმპერიის შინაური სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება როგორ გამოიყურება ნახევარი საუკუნის შემდეგ?

ვინ უარყოფს იმას, რომ საზოგადოების ტექნიკური მოდერნიზაცია აღმავალ გზაზეა შემდგარი, თუ მთელი არმია მკვლევართა, მეცნიერთა, ტექნიკოსთა, იმჟინერთა იძლევა ეკონომიურ და სოციალურ წარმოებების საფუძვლებს, მათი გამოყენების სისტემაკი ისეა შებოროტილი პოლიტიკური არტახებით, რომ შეუძლებელია ადამიანის კეთილდღეობის დამყარება, თავისუფალი შემოქმედება. თავისუფალი კვლევა-ძიების წარმოება, ადამიანის თვითმოქმედების განვითარება და გაშლა...

ამ უკანასკნელ გარემოების უდაო და უტყუარ საბუთს იძლევა ის პროტესტანტული მოძრაობა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს საბჭოთა სინამდვილეში — ზევიდან მოწყობილი დღესასწაულის სიტყვათა კორიანტელი მას ვერ დაფარავს...

ვგედავთ, თუ როგორ მოემწყვდა ჩიხში საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა, და ახალ გზებს ეძებს. იგი იძულებული ხდება ოქტომბრისგან უარყოფილი და გაკიცხული, — კაპიტალისტური სისტემის ზოგიერთ საწყისებზე გადავიდეს, უმთავრესად საბაზრო საწყისებზე გადაიყვანოს საწარმო პროდუქციის დამზადება და გასაღება. ამავე დროს კი საკუთარი კონტროლის შესუსტების შიშით, ახდენს რეფორმის ზევიდან რეგლამენტაციას, რამაც უნდა შეუნარჩუნოს ხელისუფლებას უშუალო ხელმძღვანელობა საწარმოო დარგებზე... ასეთივე შიშს განიცდის იგი სასოფლო მეურნეობაში ძირითადი ცვლილებების მოსახდენათ.

გლახობა იყო და რჩება მოსურნე მიწის მესაკუთრეობის... ინტელექტუალურ ძალებში და ახალგაზრდობაშიც იზრდება უკმაყოფილება, რაც მეტადედა მწერლობაში თუ მანიფესტაციაში. დაწყებული პროცესის შეჩერება შეუძლებელია—არაა გამორიცხული—მისი დასკვნის სიხანგრძლივით. მაგრამ მისგან მოწოდებული ტალღები უსათუოდ შეანგრევენ დიქტატურის კედლებს—რომლის შედეგათ რუსის ერთი იპოვის ნორმალურ განვითარების პირობებს,—ხალხები ეროვნულ თავისუფლებას.

დამოუკიდებელ დემოკრატიულმა საქართველომ უარყო ოქტომბრის ექსპერიმენტები; მან ააფრიალა ღრმადი ერისა და ადამიანის თავისუფლების. დღესკი მას აიძულებენ იდუგასაწაულოს, აქოს, ადიდოს ლენინი და მისი ოქტომბერი, უცხო დოგმები საქართველოს პოლიტიკური და სოციალური სინამდვილისთვის შეუფერებელი...

საქართველოს ხსენება დღეს წაშლილია საერთაშორისო ასპარეზიდან. ის ჩაყენებულია—კოლონიალურ პირობებში. თუ მოსკოვი სდგას ეპოქის მოთხოვნილებების ნიადაგზე, მან უნდა მიბაძოს ინგლის-საფრანგეთს, რომელთაც თავის ნებით მისცეს დამოუკიდებლობა კოლონიებს და ხელს უწყობენ მათ სახელმწიფოებრივ ორგანიზმის დამყარებაში.

საბჭოთა იმპერიის დეკოლონიზაცია—დღიურ წესრიგში სდგას, ადრე თუ გვიან ამ გზას იგი ვერ აცდება.

ინა ივანოვსა შოკლანისა ხსოვნას.

1967 წლის 18 ნოემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 91 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას მეუღლე ინა ივანოვნა...

ქართულმა ემიგრაციამ დაჰკარგა მისი ერთგული, ღირსეული, თავდადებული და საიმედო წევრი. ინა ივანოვნას განშორებამ, ქართულ საზოგადოებაში გამოიწვია ღრმა გულისტკივილი... განსვენებული იყო ადამიანი, რომლის არსებობა მდიდარი იყო შეურყეველი რწმენით და იმედიანობით. ამ ხანში შესულმა, შესძლო, მისი ხანგრძლივი არსებობა შეეწირა ტანჯულ საქართველოსთვის...

ინა ივანოვნამ არ იცოდა დაღლა, გვერდზე გადგომა; შთამომავლობით რუსი, მაგრამ რომელმაც ურუნერვით, ღრმა სიყვარულით, შეიყვარა ჩვენი ქვეყანა... და პატარა საქართველოს ბედი და უბედობა ჯახდა განსვენებულის რწმენა, იდეალი, და სამქვეყნო ცხოვრების შინაარსი...

ინა ივანოვნა დაიბადა ორლოვის გუბერნიის პატარა სოფელ ბერდინოში. მამამისი იყო მღვდელი, ადამიანი დიდი მორწმუნე, მწიგნობარი, და ამავე დროს კარგი მუსიკოსი.

ამ პატარა შეძლების ოჯახმა შესძლო შეიღებისთვის შიეცა უმაღლესი სწავლა-განათლება. ინამ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი პარიზის სორბონაში. სრულიად ახალგაზრდა მიემხრო სოციალდემოკრატიულ მოძრაობას, რომლის ერთგული დარჩა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

გვაგონდება განსვენებულის მორალური აღსარება პარტიულ ამხანაგების წრეში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის ოჯახში 1961 წელს.

«ჩემს საფლავზე ნუ მოიტანთ ყვავილებს, ნურც სიტყვას იტყვიან, მხოლოდ მინდა დავიმარხო ჩემ მეუღლესთან. მე სრულიად ახალგაზრდამ დავინახე, და ვიგრძენი, რომ ნოე ყორდანი იყო ადამიანი ისეთი დიდი შესაძლებლობის, რომ მას დიდი დაღი უნდა დაესვა თავის ქვეყნისთვის, რაც მართლაც ასე მოხდა.

წინაგრძნობა გამიმართლდა, და ყველას მოგვხსენებთ, თუ როგორი წაუშლელი შემოქმედება შეასრულა პრეზიდენტმა საქართველოს ისტორიაში. სამი წლის დამოუკიდებლობამ, ისტორიულ ფონზე, ისეთი ღრმა და წაუშლელი კვალი დასტოვა, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ წაშლის, რუსეთიდგან მოსული სიავე, ბოროტება, ტანჯვა-წამება და უმანკო სისხლის დაღვრა...

მე, მუდამ აღლევებით ვიგონებ ჩემ შორეულ წარსულს. სრულიად ახალგაზრდამ, იდეალებით გატაცებულმა, ვინილე საქართველო. ვესტუმრე ჩემს ნათესავებს გურიაში. და არ ვიცოდი თუ როგორ მიმიღებდა უცხოელს ქართველობა... ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, ჩემმა ახალმა სამშობლომ სიყვარულით და თბილი გრძობებით მიშვილა...

ლანჩხუთში ნოეს დედასთან ვცხოვრობდი პატარა ასმათთან ერთად—ძალიან მინდოდა გავცნობოდი გლენჯაცობას და მათ რევოლიუციონურ მოღვაწეობას...

ერთ დღეს მოვიდნენ ჩვენთან ადგილობრივ გლენჯა ხელმძღვანელი კომიტეტის წევრები და მთხოვეს. დავსწრებოდი მათ კრებას, და მიმელო მონაწილეობა მათ საქმიანობაში... დაპატოება დიდათ მესიამოვნა. მაგრამ შევეყმანდი, ასმათის დატოვებამ დამაფიქრა, ამ ჩემი ყოყმანის მიზეზს მიხვდა ნოეს დედა და მეუბნება: «შვილო ინა ცადი იმუშავე, მე აქ დავრჩები ბავშვთან... ქართული არ ვიცოდი, მაგრამ პატარა პატარა თარგმნიდგან, საერთო აზრი და საზოგადო შთაბეჭდილება საკმარისათ მივიღე... ამ პირველმა კრებამ, და სხვებმაც მოახდინა ჩემზე მეტათ დიდი და დაუფიწყარი შთაბეჭდილება. მე არ მენახა, და არც გამეგონა, ამის მსგავსი რამ რუსის გლენჯაცობაში... გურიის გლენჯაცობა იყო მასიურათ შეკავშირებული, თვითმომქმედი, და პოლიტიკურათ შეგნე-

ბული... თბილისში გავეცანი ქალაქის მუშებს, და მათ დემოკრატიულათ აწყობილ ორგანიზაციებს. მაგრამ თუ გლახობაც ასე იქნებოდა დარაზმული ვერ წარმომედგინა. კიდევ გამაკვირვა გურული ქალების შეგნებულმა თანაგრძობამ თავიანთ ქმრების რევოლიუციონურ მოქმედებისადმი და მათ მხარში ამოდგომამ...

მოკლეთ რომ გითხრათ, საქართველოს კულტურამ და გრძობიარობამ გამაკვირვა და აღტაცებაში მომიყვანა; ყველაზე უფრო გამახარა ქართველების სტუმართ-მოყვარეობამ და გულთბილად მოპყრობამ...

არავინ იფიქროს, რომ ჩემი ხვედრი იყო გამონაკლისი, ან შემთხვევითი... მალე დავინახე, რომ სტუმართ-მოყვარე ქართველი ხალხი ასე ექცეოდა, ყველა რიგიან უცხოელს. უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი ერი არის მაღალი ბუნების, სტუმართ-მოყვარე, მოყვასის ამტანი და გამტანი, რაც არ გამოპარვია საქართველოს მნახველ უცხო მოღვაწეებს, პოეტებს ან მწერლებს...

სწორეთ, ქართველი ერის ღირსეულ ბუნებაში გაიფურჩქნა ჩვენი ჰუმანიზმი და მაღალი იდეალებით მდიდარი სოციალდემოკრატიული მოძრაობა, რომლის არსებობაში და საქმიანობაში; მცირედი დამსახურება მეც მიმიძღვის». ასკვნის თვალცრემლიანი ინა ივანოვნა...

ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ინა ივანოვნა იყო გონიერი თანამშრომელი პრეზიდენტ ნოე ჟორდანიასი... დაუღალავი ენერგიით, სოციალდემოკრატიულ პარტიას. თუ ქართულ საზოგადოებას თავს დასტრიალებდა... არც ქართულ კულტურას დაჰკლებია მისი თანაგრძობა და ყურადღება...

ხოლო ავადმყოფებს, სუსტებს, და საზოგადოთ ბედით დაჩაგრულებს გულთბილათ და სასოებით ექცეოდა და მატერიალურ და მორალურ დახმარებას არ აკლებდა.

კიდევ მეტი, განსვენებული, დიდი პატივისცემით სარგებლობდა ფრანგულ სოციალისტურ პარტიაში, სადაც მას მიჰქონდა, ქართველი ხალხის ტანჯვა-წამების ამბები, და ცდილობდა ისინიც დაეინტერესებია, რასაც ნაწილობრივ კიდევ აღწევდა...

ფრანგის სოციალისტები ჩვენ ამხანაგს დიდათ აფასებდნენ და ირჩევდნენ თავიანთ ორგანოებში...

ამჟამათ, აქ ვჩერდებით ჩვენი ღირსეული თანამებრძოლის ცხოვრების აღწერაზე. ყველას სახელით ვემშვიდობებით, დეე მსუბუქათ აეტანოს, მეგობრული, მაგრამ მინც უცხო მიწა.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

ბოლშევიზმის იდეოლოგიური

საზოგადოების შესახებ.

რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტელიგენცია დიდი ხნიდან გადამწყვეტ როლს თამაშობდა, იქსოციკალურ მოძრაობათა ისტორია დიდ ნაწილად ინტელიგენციის ისტორია არის. მე-19 საუკუნეში რუსულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ რამდენიმე ფაზა განვლო; ეს ფაზები არა თუ მისდევნენ ერთმანეთს ქრონოლოგიურ წყობაში, ისინი ერთიმეორისაგან ორგანულ დაშლად დებულებაშიც არიან, ისე რომ თითოეული მათგანი წინა მიმართულებაში თავის დასაბამს პოულობს. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ამ ფაზებს შეადგენენ: პანსლავისში, სლავოფილები, ხალხოსნები (ნაროდნიკები) და ბოლშევიზმი.

პანსლავისტები ჰყოფდნენ კაცობრიობას სლავურად და არასლავურად. ამათი კულტურული სხვადასხვაობა დაშვებულია, პანსლავისტების აზრით, მათ ბუნებრივ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ რასობრივ თვისებებზე, რაც ამ ორ ჯგუფს შორის მძაფრ წინააღმდეგობას ქმნის. ამის მიხედვით რუსული პანსლავიზმი წინააღმდეგია არასლავური, ე. ი. ევროპული კულტურის საზოგადოდ. ამ ორი კულტურის სხვადასხვაობაზეა აგებული აგრეთვე სლავოფილების აზრთაწყობაც. ამით ერთ ნაწილს, კონსერვატიულს, იმ ფაქტიდან, რომ ევროპაში კაპიტალიზმი სწრაფად განვითარდა, რუსეთი კი მისგან თითქმის ხელუხლებელი იყო, გამომჟღავნდა შესაძლებლობა და იმედი რუსეთში იმ დროს არსებულ ბატონყმურ დამოკიდებულებათა შენარჩუნების. სლავოფილების მეორე (პროგრესულ) ნაწილს, რომელიც ძლიერ ახლო იდგა ხალხოსნებთან, და ამ უკანასკნელებსაც, იმავე ფაქტის მიხედვით, კაპიტალიზმი რუსეთში მიაჩნდათ არა მარტო მაშინდელი დროისთვის, არამედ მომავალშიც შეუძლებლად და არასასურველად.

ამ მოძრაობებს შორის არის დიდი განსხვავებებიც. მაგალითად, პანსლავისტები რასობრივი ერთიანობის საფუძველზე აგებულ სლავურ ხალხთა კავშირში და ამით ევროპაშიც რუსეთის პოლიტიკური ჰეგემონიისაკენ მიისწრაფოდნენ, თვით რუსეთის შიგნით სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებით, ხალხოსნები (ნაროდნიკები) კი მიზნად ისახავდნენ პირველ ყოვლისა სწორედ რუსეთის ამ სოციალური და პოლიტიკური დამოკიდებულებების გარდაქმნას. მაგრამ მიუხედავად ამგვარი განსხვავებისა, ყველა ამ ინტელიგენტური მოძრაობის დედააზრი ერთი და იგივეა:

სხვადასხვაობა რუსულის და ევროპულის, რუსეთის და ევროპის სხვადასხვა ისტორიული გზა; პანსლავისტების წინააღმდეგობა ევროპის კულტურისადმი საზოგადოდ და ნაროდნიკების წინააღმდეგობა მხოლოდ ევროპული კაპიტალიზმისადმი ერთსა და იმავე საბოლოო ეფექტს იძლევიან.

სლავოფილებს და ხალხოსნებს (ნაროდნიკებს) ურყევე შეშინებდად მიაჩნდათ, რომ რუსული საზოგადოებრივი განვითარება მიდის თავისებური გზით, ე. ი. არა კაპიტალისტურ-რით, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში იყო. ამის მიხედვით ხალხოსნებს კაპიტალიზმი რუსეთისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ბატონყმურ დამოკიდებულებებში იმყოფებოდა, ზედმეტ ბარგად მიაჩნდათ და ბატონყმობიდან უშუალოდ სოციალიზმის სამეფოში გადახტომა სურდათ. მათი ყურადღების საგანი იყო სოფელი, რომელიც მაშინ რუსეთის მოსახლეობის 95 პროც. შეადგენდა, მათი სოციალიზმიც ამრიგად იყო გლეხური სოციალიზმი, რომლის განხორციელებას ისინი უკაპიტალიზმოდ ველიკოროსების ძველი გლეხური სამფლობელო თემების (ობშჩინების) აღდგენით ფიქრობდნენ. სიბნელებში და უკულტურობაში მყოფ გლეხობას, მათი აზრით, არ შესწევდა საკუთარი თავის განთავისუფლების უნარი, ამიტომ აქ მხსნელის როლში უნდა გამოსულიყო ინტელიგენცია, რომლისათვის ბატონყმობის და აბსოლუტიზმის დასათრგუნავად ყველა საშუალება კარგი იყო. ამ იდეოლოგიიდან იშვა ნაროდნიკების ბუნტარული და ტერორისტული ბრძოლის მეთოდები.

მე 80 წლებში ნაროდნიკებს გამოეყო მარქსისტულად მოაზროვნე პატარა ჯგუფი, რომელიც თანდათან გაიზარდა და შემდეგ სოციალდემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ამ ახალმა მიმართულებამ სულ ცოტა ხანში საგრძნობი გავლენა მოიპოვა რუსულ ეკონომიურ მეცნიერებაში, სასტიკად შეებრძოლა ნაროდნიკულ რადიკალურ იდეოლოგიას, დაგმო მისი ყალბი დოგმა რუსეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების თავისებურობის შესახებ და კპოვა ქალაქის შუშუბში ცოცხალი გამოძახილი. ნაროდნიკული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა მიატოვა ძველი წრე და მიაშურა სოციალდემოკრატიას, მაგრამ მან თავისი ნაროდნიკული ქურქი ცი თან მოიტანა, ვერ შეძლო ჩამოებერთყა თავისი რადიკალური გლეხური იდეოლოგია. ეს მას არც შეეძლო, ისეთ საფუძვლიან გარდატეხას რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში მე-70 და მე-80 წლებში ადგილი არ ჰქონია; ბატონყმობა თუმცა ფორმალურად მოსპობილი იყო, მაგრამ გლეხობის ფაქტიური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა; პირიქით, გლეხობა, გარდა იმისა, რომ ის მიწისაგან სრულიად განთავისუფლებული დარჩა, განთავისუფლების ხარკებმა ბატონისა და სახელმწიფოსაგან კიდევ უფრო დამოკიდებული გახადეს ინდუსტრიული მეურნეობა, მართალია, ვითარდებოდა, მაგრამ

ის მაინც მცირე იყო, სოფლის მეურნეობა და გლეხი უდავოდ ფლობდნენ რუსულ აზროვნებას და პოლიტიკას. ამ პირობებში ვისი ინტერესების გამოხატველი უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივად ინტელიგენცია? უარბობდა სოფელი და სოფლის გაჭირვება, უარბობდა, მანასადამე, წვრილბურჟუაზიული გლეხური აზროვნებაც ინტელიგენციაში. რომელშიც ისე მძლავრი აღმოჩნდნენ წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკული ტრადიციები, რომ მათ ვერ გაუძლო ვერც ძლიერმა მარქსისტულმა ლოგიკამ. ახლად დაარსებულ სოციალდემოკრატიულ პარტიაში უკვე თავიდანვე ჩამოყალიბდა ორი იდეოლოგია, რომელთა წინააღმდეგობა სწრაფად ვითარდებოდა და უკვე ამ საუკუნის პირველ წლებშივე ორივე ფრთა ერთმანეთისაღმე შეურიგებელ მტრებად გადააქცია. განსაკუთრებით ორ საკითხში შეგვიძლია მათ შორის წინააღმდეგობის სიძლიერე, უფსკრულის სიღრმე ადვილად გავჯომოთ. სახელდობრ, გლეხობის და პარტიული ორგანიზაციის საკითხებში.

—

ადვილი გასაგებია, რომ ეს უკანასკნელი, ე. ი. პარტიული ორგანიზაციის საკითხი ახალგაზრდა პარტიის არსებობისა და განმტკიცებისათვის და მისი მომავალი მუშაობის საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, და ის ფაქტი, რომ უთანხმოებამ ამ საკითხში ერთიანი ორგანიზაციული მუშაობა თავიდანვე შეუძლებელი გახადა, ყველაზე ნათლად ახასიათებს მაშინდელი სოციალდემოკრატიის ორივე ფრთის, როგორც მოძრაობის, ბუნების სხვადასხვაობას. სულ ჩქარა პარტიის დაარსების შემდეგ, სახელდობრ, ბრიუსელ-ლონდონის 1903 წლის კონგრესზე, კიდევ მოელო ბოლო ორივე მიმართულების ერთიან ორგანიზაციაში მოთავსების ილუზიას.

ამ მიმართულებებიდან ერთი, რომელიც პარტიული ინტელიგენტების კონგრესზე ბრიუსელ-ლონდონში უმცირესობაში დარჩა—ამიტომ კჰვია შას რუსულად შეწვევისში— აღიარებდა, რომ პარტია არის მოძრაობის შიგნიდან გამომდინარე სოციალდემოკრატიული ორგანიზაცია; შას ახასიათებს ლოზუნგი: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. ის არის თვით შეკავშირებული მუშების ორგანიზაცია, ფართო, შასობრივი, დემოკრატიული.

ლენინის, ე. ი. კონგრესის ინტელიგენტთა უმრავლესობის აზრით პარტია არის პროფესიული რევოლუციონერების, მოძრაობის აქტიური, ე. ი. კონსპირაციული მონაწილეების ორგანიზაცია. ის არის უფროსხილესი კონსპირაციით მოქმედი ბუნტარული, შეთქმულებითი ვიწრო ორგანიზაცია, რომლის გენერალური შტაბი პარტიის ლიტერატურული ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ზის. სადაც მოძრაობის ყველა ძაფი ერთდება. ეს ინტელიგენტების ხელმძღვანელობა,

რომელსაც ყველა პარტიული ინსტანცია ეშორჩილება, იძლევა დირექტივებს ზევიდან და განაგებს რევოლუციური მოძრაობის ბედს. «ბიუროკრატიზმი versus დემოკრატიზმი, ცენტრალიზმი versus ავტონომიზმი—აი, ეს არის რევოლუციური სოციალდემოკრატიის საორგანიზაციო პრინციპი, წინააღმდეგ ოპორტუნისტის სოციალდემოკრატიების საორგანიზაციო პრინციპისა. უკანასკნელი მიდის ქვევიდან ზევით და ამრიგად იცავს ყველგან, სადაც და რამდენადაც შეიძლება, ავტონომიზმს და დემოკრატიზმს..... პირველი გამოდის ზევიდან, შიისწრაფის რა ცენტრის, შედარებით ნაწილებთან, უფლებების გაფართოებისკენ» (იხ. ვ. ლენინი, «შავ ვაჭარიოდ, დვა შავა ნაზად»).

ამრიგად, ლენინი თვით უპირდაპირებს მეუშვირესეთა (მენშევიკების) დემოკრატიზმს თავის საკუთარ ბიუროკრატიზმს, რომელიც გამოცხადებულია რევოლუციურ საორგანიზაციო პრინციპად. რევოლუცია, მუშათა განთავისუფლება არა მუშათა კლასის, არამედ ამ კლასის გარეშე მყოფ და მოძრაობის ზევით მდგომ ხელმძღვანელ ლიტერატურათა ვიწრო ჯგუფის საქმეა. ეს შეზღუდულება ინტელიგენციის როლის შესახებ სლავოფილ-ნაროდნიკებიდან არა მარტო მემკვიდრეობით გადმოეცა ბოლშევიკებს; კიდევ მეტი, ამათ ის უკიდურესობამდე განავითარეს, ინტელიგენტური ხელმძღვანელობის ნამდვილი კულტი შექმნეს, ვეებერთელა ქვეყანა «პოლიტბიუროს» სანავარდოთ აქციეს; ნაროდნიკების პერსონალური ტერორის ნაცვლად მასობრივი ტერორი გააჩაღეს და მთელ ხალხს მუსრი გაავლეს.



ასევე დიამეტრიალურად წინააღმდეგი იყო სოციალდემოკრატიის ორივე ნაწილის პრინციპული შეზღუდულება გლენხოზბახეც. ერთი ნაწილის აზრით, პროლეტარიატი და მუჟიჩოკი ნამდვილი ანტიპოდებია. ისტორიული როლი პროლეტარიატის იმდენადვე რევოლიუციურია, რამდენადაც კონსერვატიულია როლი მუჟიკის. მუჟიჩოკზე ათასი წლობით ურყევად ეყრდნობოდნენ ადმოსავლეთის დესპოტიები პროლეტარიატმა შედარებით მოკლე ხანში შეარყია დასავლეთ ევროპის საზოგადოების საფუძვლები» (პლენაროვი). ამავე დროს ლენინი შემდეგნაირად განმარტავდა გლენხის ბუნებას: «გლენი, როგორც მამურალი, მიიწევს სოციალიზმისკენ. ურჩენია რა პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიის დიქტატურას. გლენი, როგორც პურის გამყიდველი, მიიწევს ბურჟუაზიისკენ, თავისუფალი ვაჭრობისკენ. ამ სიტყვებში გარკვეულად არის გამოთქმული ლენინის გლენური სოციალიზმის ქორიენტაცია, წინააღმდეგ პლენაროვის ზემოთ მოყვანილი პროლეტარტლისა. ლენინი ფიქრობს დაგვიხატოს აქ გლენის ორმაგი ბუნება. ის მოწადინებულია გათქვიფოს

ერთ პიროვნებაში სოფლის მეურნის ორი ტიპი: ერთი მხრით, საკუთარ შრომაზე დამყარებული, კერძო საკუთრების მქონე მშრომელი, რომელსაც ჩვეულებრივი რუსი გლეხი წარმოადგენდა, მეორე მხრითკი სოფლის კაპიტალისტური მეურნე, მისი მოგების ინტერესით. რუსი გლეხის ბურჟუაზიულ ბუნებას ლენინი ხედავდა უთუოდ იმ გარემოებაში, რომ ეს გლეხი პურს ყიდდა. მაგრამ, თუ რუსი გლეხი თავისი შრომის პროდუქტს ყიდდა, თვითონ კი სანახევროდ მიმშობლობდა, ეს გამოწვეული იყო არა მოგების ინტერესით, არამედ უმთავრესად მრავალი გადასახადის გასტუმრების საჭიროებით. ის, რაც ლენინს ერთ პიროვნებაში გაორებულიად ეჩვენება, არის სინამდვილეში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მეურნის ტიპი, რომლებიც მშრომელთა საკუთარ შრომაზე დაფუძნებული წარმოების და კაპიტალისტური წარმოების დამოკიდებულებებით ხასითდებიან.

გლეხის ბუნებაში ჩასახული ორმაგი წინააღმდეგობა შემთხვევითი ბოლშევიკური კონსტრუქცია როდია; მასთან დაკავშირებულია ბოლშევიკების ნაროდნიკული ილუზია წინაკაპიტალისტური, მშრომელის საკუთარ შრომაზე დამყარებული წარმოების სოციალისტურ წარმოებაში გადასვლის შესაძლებლობისა. ბოლშევიკების აზრით, გლეხში ჰარბობს სოციალისტური ბუნება «მიიწვევს სოციალიზმისკენ», «უჩვენია პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიისას» და, რადგან გლეხის საკუთარ შრომაზე დამყარებული მეურნეობა კაპიტალისტურისაგან რადიკალურად განსხვავებულია (ამ განსხვავების ძალით მიიჩნია ლენინს, რომ «ჩვენს, ე. ი. საბჭოთა სოციალურ წყობილებაში არ არიან ჩაქსოვილი აუცილებელი საფუძვლები განხეთქილებისა», ე. ი. კომიუნ გლეხურს და «სოციალისტურ» მეურნეობათა შორის). წარმონისტებისათვის მათი საბჭოთა მეურნეობა სოციალისტურია და ამ საბჭოთა იდილიის პირობებში, ცხადია, ყოველგვარი განხეთქილება გამორიცხულია. ლენინის ეს ამონაწერი მოთავსებულია ჟურნალ «პრობლემი ეკონომიკიში», 1932 წ., 7, გვ. 68), გამოაყვავთ მათ ამ გლეხური მეურნეობის სოციალიზმთან. კაპიტალიზმის წინააღმდეგობასთან, შეგუების და შეზრდის შესაძლებლობა. საჭიროა მხოლოდ გლეხის გაორებულ ბუნებაში კაპიტალისტური მისწრაფების ჩაკვლა და სოციალისტურის გაძლიერება. მათი აზრით, თუმცა უბრალო სასაქონლო გლეხური წარმოების თავისთავად შეზრდა შეუძლებელია სოციალისტურთან არ ხდება, მაგრამ მისი «კაპიტალისტურად განვითარების ტენდენცია შეიძლება დაძლეულ იქნას გლეხზე სოციალისტურ საწარმოო დაშოკიდებულებათა აქტიური გავლენით, სასტიკი კლასობრივი ბრძოლით» (იხ. იქვე), ე. ი. ბოლშევიკური სახელმწიფოს («გეპუსს») საშუალებით. ამ გზით, ამ ორი, ბუნებით ერთმანეთის წინააღმდეგი მეურნეობის ბოლშევიკური შეზრდაც უზრუნველყოფილია,

რაც აგერ 40 წელიწადია უღმობლად ხდება კოლმეურნეობის სახით, იმ შედეგით, რომ კოლმეურნეები არ ჩერდებიან კოლმეურნეობებში, მოსავალი მუდამ კლებულობს და საბჭოთა მთავრობა იძულებულია მარცვლეული საქმულველ კაპიტალისტურ საქაროდან შემოიტანოს.

ეს ბოლშევიკური კოლმეურნეობა, რასაკვირველია, იგივეა არსებითად, რისთვისაც ხალხოსნები (ნაროდნიკები) ასე თავგამოდებით იბრძოდნენ—სოციალიზმი გლეხური ობზინების აღდგენით, ოღონდ უკაპიტალიზმით. აგრეთვე ბოლშევიკურ «მარქსისტებსაც» ეწინააღმდეგეთ რუსეთის სოფელში კერძოკაპიტალიზმის შესვლის და ჩეკისტური სახელმწიფოს საშუალებით კაპიტალისტურ განვითარებას იქ გზა მოუჭირეს, მარქსი კი დარწმუნებული იყო, რომ სოციალიზმი შესაძლებელია მხოლოდ, როგორც შედეგი ამნაირი განვითარების.

—

ხემოდ ჩვენ აღვნიშნეთ ბოლშევიზმის ახლო იდეოლოგიური ნათესაობა მის წინაპრებთან, პანსლავისტებიდან მოყოლებული ხალხოსნებამდე (ნაროდნიკებამდე). მათ ყველას ბოლშევიკებთან აერთიანებს შეხედულება რუსეთის და ევროპის სხვადასხვაობის და რუსეთის საგანგებო ისტორიული დანიშნულების შესახებ. სლაგოფილებიდან დაწყებული რუს ინტელიგენციაში ფეხს იკიდებს წარმოდგენა რუსეთის ეკონომიური განვითარების თავისებურების შესახებ, ე. ი. არა კაპიტალიზმის გზით, რამაც ხალხოსნებსა და ბოლშევიკებში წარმოშვა რწმენა საკუთარ შრომაზე დამყარებული დაქსაქსული ინდივიდუალური მეურნეობის უშუალოდ სოციალისტურად გარდაქმნის შესაძლებლობისა. მაგრამ როგორ ფიქრობდენ ამაზე თვით მეცნიერული სოციალიზმის მაშამთავრები, მარქსი და ენგელსი?

ისტორიის მსვლელობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი სისტემიდან ვითარდება მეორე, პირველის სრულებით წინააღმდეგი. ასე წარმოიშვა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურიდან, ამ უკანასკნელის რღვევამ გამოჰყო პირველის ელემენტები (მარქსი). კაპიტალიზმიც არ წარმოადგენს საბოლოო სიტყვას, ისიც ვითარდება და მისი რღვევა იძლევა სოციალიზმის ელემენტებს. განვითარების ტენდენცია კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ მარქსმა შემდეგნაირად დასახა:

«ეს წარმოება (წინაკაპიტალისტური, საკუთარ შრომაზე დამყარებული წარმოება, როგორც გლეხის, ხელოსნის, სადაც საწარმოო საშუალებები თვით მშრომელის საკუთრებაშია. მ. ი.) გულისხმობს მიწის და სხვა საწარმოო საშუალებათა დაქსაქსვას... განვითარების ერთ განსაზღვრულ სიმაღ-

ლენე შობს ის თავისი საკუთარი განადგურების მატერიალურ საშუალებებს... მისი განადგურება, ინდივიდუალურ და დაქსაქსულ საწარმოო საშუალებათა გარდაქმნა საზოგადოებრივ შეჯგუფებულად, ბევრთა წვრილი საკუთრების რამდენიმეთა მასობრივ საკუთრებად, ამრიგად, სახალხო მასების შიწისაგან, საკვები საშუალებებისაგან და სამუშაო იარაღებისაგან ექსპროპრიაცია, სახალხო მასების ეს საშინელი ექსპროპრიაცია შეადგენს კაპიტალის წინასწარ ისტორიას... თითოეული დამოუკიდებელი მომუშავე ინდივიდუუმის, მის სამუშაო პირობებთან, ასე ვთქვათ, შეზრდაზე დაფუძნებული კერძო საკუთრების ადგილს იჭერს კაპიტალისტური კერძო საკუთრება, რომელიც დამყარებულია უცხო, მაგრამ ფორმალურად თავისუფალი შრომის ყვლეფაზე. როგორც კი ძველი საზოგადოება ამ გარდაქმნის პროცესით სიღრმისა და სიდიდის მიხედვით საკმაოდ გახრწნილია, როგორც კი მშრომელები პროლეტარებად, მათი სამუშაო პირობები კაპიტალად გადაქცეულია, როგორც კი კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფეხზე დგას, მაშინ იღებს ... კერძო მესაკუთრეების შემდგომი ექსპროპრიაცია ახალ ფორმას. რაც ახლა საექსპროპრიაციაა, არის არა ისევე თვითმწარმოებელი მშრომელი, არამედ ბევრი მუშის მყვლეფელი კაპიტალისტი. ეს ექსპროპრიაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტურ კანონებზე დამყარებული უცდილით, კაპიტალების ცენტრალიზაციით... მაშინ როდესაც კაპიტალის მაგნატების რიცხვი მუდამ კლებულობს. ... იზრდება გაჭირვების, სიდუხჭირის, მონობის, გადაგვარების, ყვლეფის მასა, მაგრამ აგრეთვე მუდამ მრავლებულის და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმში გამობრძმედილი, გაერთიანებული და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული მუშათა კლასის აღშფოთება. კაპიტალის მონოპოლია ხდება წარმოების დაბრკოლებად, რომელიც მასთან და მის ქვეშ აყვავდა. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განზოგადოება აღწევენ ისეთ წერტილს, როდესაც ისინი მათ კაპიტალისტურ ქურქს ვგარ ეგუებიან. ის სკდება. კაპიტალისტური კერძო საკუთრების აღსასრულის უამი დგება. ხდება ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია» (კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. 1, ნაწილი მე-7, თავი 2417: კაპიტალისტური აკუმულაციის ისტორიული ტენდენცია).

ეს არის მომენტი კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის, მაგრამ ამ გარდაქმნის პირობები კარდინალურად განსხვავდებიან იმ პირობებისაგან, რომლებშიც კაპიტალიზმი აღმოცენდა. «მშრომელთა საკუთარ შრომაზე დაფუძნებული, დაქსაქსული კერძო საკუთრების გარდაქმნა კაპიტალისტურად, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ხანგრძლივი, მწვავე და ძნელია, ვიდრე ფაქტიურად უკვე განზოგადოებულ წარმოებაზე დაფუძნებული კაპიტალისტური საკუთრების გარ-

დაქმნა საზოგადოებრივ საკუთრებად. იქ საქმე ეხებოდა სახალხო მასების ექსპროპრიაციას რამდენიმე უზურპატორის მიერ, აქ საქმე ეხება ხალხის მიერ რამდენიმე უზურპატორის ექსპროპრიაციას» (იქვე).

ამ განვითარების პროცესის აქ მოყვანილ აღწერაში მარქსი ერთ სიტყვასაც არ ამბობს მშრომელის საკუთარ შრომაზე დამყარებული წარმოების უშუალოდ, უკაპიტალიზმოდ სოციალიზმში გადასვლის ან შეზღუდვის შესაძლებლობის შესახებ, ეს მისთვის არ არსებობს; არაფერს ამბობს აგრეთვე არც სახელმწიფოს როლზე კაპიტალისტური სისტემის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მარქსი აქ აღწერს განვითარების ტენდენციას, მის აუცილებელ გზას იმ მომენტამდე, როდესაც შესაძლებელი ხდება «ექსპროპრიაციების ექსპროპრიაცია». სახელმწიფოს გარდამქნელი როლი მაშინ იწყება, როცა ეს მომენტი დგება, ამ გარდაქმნის პირობები მომწიფებულია. ჩვენ აქ არ ვეხებით სახელმწიფოს მონაწილეობას კაპიტალისტური მეურნეობის ევოლუციის პროცესში, არამედ აქ მხოლოდ სახეში გვაქვს სახელმწიფოს რევოლუციური როლი მომავალში გარდაქმნის საქმეში და აქ კი სახელმწიფო «აკუშორია ძველი საზოგადოების, რომელიც მიიმდობა ახალით (მარქსი), ე. ი. იმ საზოგადოების, რომლის საშოში ახალი არსება ცოცხლობს. სახელმწიფომ მშობიარე ძველ საზოგადოებას ისეთი ოპერაცია უნდა უყოს, რომ ამ ახალ არსებას მის ირგვლივ გარშემორტყმული კაპიტალისტური ქერქი მოაშოროს და ის მზის სინათლეზე გამოიყვანოს».

ამ ამოცანის შესრულება სახელმწიფოსთვის მით უფრო გაადვილებულია, რომ საზოგადოების ხელში გადასაცემი საკუთრება «ფაქტიურად უკვე განზოგადოებულია». ამრიგად, სანამ სახელმწიფო თავის რევოლუციური როლის შესრულებას შეუდგებოდეს, ეს არსება ანუ კაპიტალისტური განვითარებით გამოყოფილი სოციალისტური ელემენტები, სახელმწიფოს ამ როლისაგან სრულებით დამოუკიდებლად უნდა უკვე არსებობდნენ. მაშასადამე, უნდა არსებობდნენ, ერთი მხრივ, ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის საშუალებებით უაღრესად განზოგადოებული კაპიტალისტური წარმოება და საკუთრება და, მეორე მხრივ, უკიდურესად გაქორევებული და გაყვლედილი მრავალი მუშათა კლასი. მარქსისათვის არ არსებობს მშრომელის საკუთარ შრომაზე დამყარებული მეურნეობიდან, რომელიც სოციალიზმის ელემენტებს არ იძლევა, უშუალოდ სოციალიზმში გადასვლის შესაძლებლობის საკითხი. სოციალიზმის ამ ელემენტებს იძლევა მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმი.

— —

ამის შემდეგ შეიძლება ვიკითხოთ, ჰქონდა რუსეთში კაპიტალისტურ დამოკიდებულებათა ისეთ განვითარებას ადგილი, როდესაც საწარმოო ძალები «მათ კაპიტალისტურ ქუთქში ველარ თავსდებიან»? მთელი ასეთი განვითარება იქითკენ მიდის, რომ კაპიტალიზმი, როცა ის განზოგადოებულ ფორმას იღებს, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეპატრონება, კაპიტალისტური სული ყველა სოციალურ და სამეურნეო სფეროს ეუფლება, ისე, როგორც ეს დასავლეთ ვეროპის ქვეყნებში და ჩრდილოეთ ამერიკაშია. რუსეთში კაპიტალიზმი სუსტი იყო, მასში პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ჩაბმული იყო მცხოვრებთა. შეიძლება, 15 პროც., დანარჩენი 85 პროც. კი უმთავრესად მისი ფარგლების გარეშე ცხოვრობდა, მთელი რუსული სოფელი კაპიტალიზმის მიერ თითქმის ხელუხლებელი იყო. ამას დაემატა კიდევ, რომ საინდუსტრიო წარმოება ჯერ თვით სახელმწიფოს და შემდეგ უცხოეთის კაპიტალის ხელში იყო და რუსეთი ეკონომიურად დასავლეთ ვეროპის კოლონიას წარმოადგენდა. არ არსებობდა, მაშასადამე, განვითარებული ეროვნული კაპიტალიზმი, ეროვნული ბურჟუაზია, არც მისი შესაფლავე—ინდუსტრიული მუშათა კლასი. აქედან გამომდინარეობდა იქ სოციალიზმის შეუძლებლობაც, რაც ენგელსმა საზოგადოედ ყოველი ასეთი შემთხვევისთვის ადვილად გასაგები სიტყვებით გამოთქვა: «საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ, შედარებით მაღალ დონეზე ხდება შესაძლებელი წარმოების ისე მაღლა აყვანა, რომ კლასთა მოსპობა გახდეს ნამდვილი ნაბიჯი წინ, რომ ის იქნეს მტკიცე და არ გამოიწვიოს შეჩერება ან კიდევ რეგრესი საზოგადოებრივ წარმოებაში. განვითარების ასეთ დონეს საწარმოო ძალები აღწევენ მხოლოდ ბურჟუაზიის ხელში. მაშასადამე, ბურჟუაზია არის ისეთივე აუცილებელი წინასწარი პირობა სოციალისტური რევოლუციის, როგორც თვით პროლეტარიატი. ამიტომ კაცი, რომელიც ამბობს, რომ ამგვარი რევოლუცია ადვილდება განსაზღვრულ ქვეყანაში იმ გარემოებით, რომ ამ ქვეყანაში თუმცა არ არის პროლეტარიატი, მაგრამ სამაგიეროდ არ არის არც ბურჟუაზია, ააშკარავენს სოციალიზმის ანბანის სრულ უცოდინარობას» (ენგელსის წერილიდან ტკაჩოვისადმი).

ესაა ავტორიტეტული განაჩენი. რასაკვირველია, ბოლშევიკები გაცნობილი იყვნენ ენგელსის ამ შეხედულებას და აღიარებდნენ რუსეთის სოციალურ და ეკონომიურ ჩამორჩენილობასაც, მაგრამ ამ ნაკლის ანაზღაურებას ისინი ცდილობდნენ კერძო კაპიტალიზმის მოსპობით და მისი შეცვლით გლეხური საზოგადოებით, რომლის საფუძველზე სოციალისტური უნდა აღმოცენებულიყო. საბჭოელი კომუნისტები ირწმუნებიან ახლა, რომ ეს ფაზა უკვე განვლილია და სოციალიზმი განხორციელებულია და ამჟამად ისინი კომუნისმის

30279



მშენებლობას ეწევიან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კომუნისტები მთელ ამ საქმეში იმედს ამყარებდნენ სახელმწიფოს ყოვლადშემძლეობაზე, რომლის კულტი, გათავყვანება ქვეყნისთვის მათი საქმის და შეხედულებების («პროლეტარიატის დიქტატურა»). მაგრამ «სახელმწიფო ძალაუფლება არის ეკონომიური პოტენცია», ძალა (მარქსი), მას ბევრი-რამ შეუძლია, «ხალო სადაც—დაპყრობის შემთხვევებს თუ ყურადღებას არ მივაქცევთ—რომელიმე ქვეყნის შინაგანი ხელისუფლება მისი (ქვეყნის) ეკონომიური განვითარების წინააღმდეგ გამოდის, რასაც აქამდის ადგილი ჰქონდა ყოველი პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, იქ ბრძოლა დამთავრდა ყოველთვის პოლიტიკური ხელისუფლების დამხობით. ეკონომიურმა განვითარებამ უგამონაკლისოდ და უღმობლად გაიკაფა გზა...» (ფრ. ენგელსი, «ანტიდიუტინგი», მე 2 ნაწილი, პოლიტიკური ეკონომია, თავი მე-IV). პოლიტიკურ ძალაუფლებას ეს წილი ხვდება არა მარტო მაშინ, როდესაც ის რევოლუციური მოძრაობის და სოციალიზმის წინააღმდეგ, მაშასადამე, ძველის შენარჩუნებისთვის გამოდის, არამედ მაშინაც, როცა ეს პოლიტიკური ძალაუფლება ახალი საზოგადოების აშენების მიზნით ძველს უდროოდ, ე. ი. განვითარების განსახლებრული დონის მიღწევამდე ანგრევს.



ეს არის, რასაკვირველია, თეორია, მაგრამ, თუ ახლა სინამდვილეზე, ჩვენს შემთხვევაში, საბჭოთა სინამდვილეზე გადავალთ, დავინახავთ, რომ მარქსის ანალიზი ამ საბჭოთა სინამდვილემ გაამართლა. დასავლეთში მრავალი წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაციით, გლეხების მიწიდან განდევნით დაიწყო «პირვანდელი კაპიტალისტური აკუმულაცია». საბჭოთა კავშირში კი ბოლშევიკებმა, მრავალი მილიონი კერძო წვრილი მესაკუთრის ექსპროპრიაციის შემდეგ, შექმნეს ქალაქად პატარა საწარმოთა ხარჯზე დიდი სამეურნეო ერთეულები, ბიუროკრატიული ტრესტები, სოფლად გამოჰყვეს ისევე ბიუროკრატიული საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები და ფიქრობდნენ, რომ ამით სოციალიზმს საორგანიზაციო საფუძვლები ჩაუყარეს. მაგრამ მაშინ არსებული რამდენიმე კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოების ხელში გადაყვანის, «უზურპატორების ექსპროპრიაციის» ნაცვლად, ბოლშევიკებმა მოახდინეს მასობრივი ექსპროპრიაცია, გაეარცვეს და გააღატაკეს მთელი გლეხობა, მთელი ხალხი. კოლმეურნეობების შექმნით ბოლშევიკებმა მიმართეს ამრიგად პირვანდელი კაპიტალისტური აკუმულაციის მეთოდს გლეხობის გაპროლეტარების და ინდუსტრიალიზაციის ჩატარების მიზნით, რასაც კომუნისტი პრეობრაჟენსკი («პირვანდელი სოციალისტური აკუმულაცია») გლეხობის დაბეგვრით ფიქრობდა.

კ, მარქსმა ნაჩქარევად იწინასწარმეტყველა «რამდენიმე უზურპატორის ექსპროპრიაცია». მას შემდეგ ასმა წელიწადმა განვლო, მაგრამ კაპიტალიზმი კიდევ ცოცხლობს და ჯერ არც კი ფიქრობს სიკვდილზე. მეორე მხრით, არის უტყუარი ნიშნები, რომ საბჭოთა რეჟიმი, რომელიც სამხედრო კომუნისმის ქაოსით დაიწყო და «პირვანდელი სოციალისტური აკუმულაციისა» და საკონცენტრაციო სასიკვდილო ბანაკების შემდეგ ერთგვარად მოშინაურდა და თითქოს კულტურაზე პრეტენზიებს აცხადებს, დღეს თანდათანობითი რღვევის და გარდაქმნის პროცესში იმყოფება. მის მუდამ კოქლეკონომიკას ახლა წყალი შეუდგა და მისი პოლიტიკური ნდობა და გავლენა, რომელიც ისედაც ტლანქ ძალას ემყარებოდა, შიგნით და გარეთ შეირყა. ერთადერთი, რაც მას კიდევ შერჩა, ესაა უმაგალითო შეიარაღება, რომელსაც იგი ბოროტად იყენებს დაპყრობილი ერების დასაშინებლად და გარეთ ომების საწარმოებლად. ერთი ომი მან არაბული ქვეყნების საზარალოდ ახლახან უკვე წააგო და რევანშისტის ემზადება, მეორე ომს კი იგი პეკინთან ერთად აწარმოებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთ პატარა სახელმწიფოს ამოფარებულს, რომელსაც იარაღით ამარაგებს და წინააღმდეგობისთვის აქეზებს. ამ რაიონში დიდი ხანია მშვიდობა დამყარებული იქნებოდა, რომ ამ ომით დაინტერესებული არ იყოს მოსკოვი. ვარდა ომებისა, საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობა ყველგან ჩხირკედელაობს, ყველგან ცეცხლს ანთებს და არეულობებს ქმნის. ამის მაგალითია ამ ბოლო დროს არეულობები ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რასაც ხელმძღვანელობს კასტრო, რომელსაც მოსკოვი აფინანსებს.

აი, ამ მდგომარეობაში საბჭოთა კომუნისტებმა წელს იდღესასწაულეს თავიანთი ხელისუფლების არსებობის 50 წლისთავი. არა მარტო ამ შემთხვევის გამო, კომუნისტები მუდამ ტრადახობენ თავიანთი მიღწევებით. რაში გამოიხატება ეს მიღწევები? საბჭოთა სოფლის მეურნეობის ქრონიკულ კრიზისებში, მომხმარებლის აბუჩად აგდებაში და ბევრ სხვაში. მაგრამ ერთი-რამ უნდა ვალიართ: კაცობრიობის გამანადგურებელ იარაღს საბჭოთა კავშირში ბევრს ამზადებენ, ამაში ნაკლებობა არ არსებობს. ვენ კი ვამტკიცებთ და ამაში ყველა გონიერი ადამიანი შემოგვიერთდება, რომ უფრო მეტი დადებითი მიღწევები ექნებოდათ დღეყანდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მობინადრე ხალხებს, რომ ისინი იყვნენ თავისუფალი. მშრომელი, როცა ის თავისუფალია, შექმნის გაცილებით მეტს, ვიდრე მაშინ, როცა ის მათრახის ქვეშ მუშაობს.

მიხე იმნაიშვილი.

ოქტომბერი და საქართველო.

ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ჩვენს უფრო-ნაღვანეთებში, რადიო-ტელეგადაცემებში, ისე, როგორც პარტიული ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტების გამოხსვლებში ბევრია ლაპარაკი საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებზე, მაგრამ თითქმის არაფერია იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკური მიღწევები გავაჩნია ჩვენ საქართველოში, დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ე. ი. დაწყებული 1921 წლიდან. რატომ არ ლაპარაკობენ პარტიული ხელმძღვანელები ქართველი ერის ეროვნულ პრობლემაზე და საერთოდ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით?

არ ლაპარაკობენ მხოლოდდამხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება, საქართველოში არსებული ეროვნული პოლიტიკის მდგომარეობა — არაფერს კარგს არ ამბობს თვით საბჭოთა რეჟიმის ვარგისიანობაზე. ვასილ მუჟანაძე, მაგალითად, «ლიტერატურაზე და ხეზე»-ში, მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში, ამბობდა, რომ «ჩვენი რესპუბლიკის წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს წარმატებები მიღწეულია საბჭოთა საქართველოში — საბჭოთა კავშირის ერთერთ ყველაზე მრავალფეროვან რესპუბლიკაში — მოსახლე ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ერთსულთაგანი ღონისძიებით»-ო. და აქაც ის ეხება საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და არა ქართველი ერის ეროვნული პრობლემის მდგომარეობას დღეს, ოქტომბრის 50 წლისთავზე. სამაგიეროდ რამდენიმე ძირითად საკითხს ეხება ბ-ნი გ. ჯანგველაძე თავის წერილში — «ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები» — უფრო ალ «საქართველოს კომუნისტის» მიმდინარე წლის მე-6 ნომერში. ის ამ წერილში, სხვათა შორის, წერს:

«სწორედ რუსმა ხალხმა უჩვენა მსოფლიოს ყველა ხალხს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ნიმუში — წერს აქ ბ-ნი ჯანგველაძე. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე ისტორიაში არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ უფრო ძლიერ ერს უანგაროდ დახმარება გაეწია სუსტი ხალხებისათვის. რუსის ერმა დიდი ძალა დახარჯა და დიდი მსხვერპლი გაიღო, რომ დახმარებოდა წინათ ჩაგრულ და ჩამორჩენილ ხალხებს, რათა უმოკლესს იტორიულ ვადაში მოწინავე სოციალისტური ერები გამხდარიყვნენ, თავიანთი სუვერენიტეტი და სახელმწიფოებრიობა მოეპოვებინათ, ეკონომიკა და კულტურა განეითარებინათ» — ასე წერს ბ-ნი ჯანგველაძე თავის ხსენებ-

წერილში და, ცოტა არ იყოს, ჩვენ ვეჭვობთ, რომ მას მართლაც სჯერა ის, რასაც ასე სიტყვათა კორიანტელში ახვევს.

ჯერ ერთი—ვითომ ოქტომბრის რევოლუციამდე—საქართველო «ჩამორჩენილი» ქვეყანა იყო, ხოლო რუსეთი «მოწინავე»? განა საქართველო შეიძლება მიეკუთვნოს იმ «ჩამორჩენილ ხალხების» რიცხვს, რომელსაც «რუსის ერმა უანგარო დახმარება გაუწია»? საინტერესოა, საიდან დაებადა ბნ ჯანგველაძეს ამგვარი არატოლფასოვნების კომპლექსი რუსი ერის მიმართ? ვითომ ქართველი ერი «ჩამორჩენილი», არატოლფასოვანი იყო 1921 წელს, როცა ის დაიპყრო რუსეთის წითელმა არმიამ და მხოლოდ რუსი ერის «უანგარო» დახმარებით გახდა ის ე. წ. «სოციალისტურ ერად»?

მეორე—ვითომ რუსი ერის ამ ყბადასაღები «უანგარო დახმარებით» გახდა საქართველო სუვერენული? ვითომ ყველაფერი ეს სჯერა ბნ ჯანგველაძეს? ვითომ საქართველომ მართლა მოიპოვა ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი რუსი ერის «უანგარო დახმარების» შედეგად?

ვითომ საქართველოს მთავრობა რომ დღეს სრულებით ემორჩილება «ცენტრის» მთავრობის ყოველ ნებასურვილს—ეს საქართველოს სუვერენიტეტის გამომხატველი ფაქტია? ვითომ დღეს, რომ საქართველოს არც კომპარტიას, არც სამინისტროებს, არც სხვა სახელმწიფოებრივ თუ პარტიულ ორგანოებს მოსკოვის ბრძანების გარეშე არავითარი თავისუფალი მოქმედება არ შეუძლიათ—ესეც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის დამამტკიცებელ ფაქტებად ვამოდგება? ვითომ დღეს რომ საქართველოს ჩაკეტილი აქვს კარები—გამოვიდეს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი,—ესეც საქართველოს სუვერენობის დამამტკიცებელი ფაქტია? ვითომ ის ფაქტი, რომ საქართველოს დღეს იმის უფლებაა, რომ გააჩნია, რომ თავის მოქალაქეებს მისცეს საზღვარგარეთ წასვლის უბრალო ვიზა—ესეც საქართველოს სუვერენობის გამომხატველია? და ვინ ჩამოთვლის ყველა იმ ფაქტებს, რომლებიც ცხადპყოფენ, რომ დღეს საქართველო, ქართველი ერი პოლიტიკურად მოსკოვის პარტელმძღვანელობის სრული ბატონობის ქვეშ იმყოფება! და განა ყველაფერი ეს კარგათ არ იცის არა მარტო ბატონმა ჯანგველაძემ, არამედ საქართველოს ყოველმა პარტიულმა ხელმძღვანელმა, რა თქმა უნდა, თვით ვასილ მქავაძის ჩათვლით?

მაშ, რატომ ცდილობენ ესენი ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას დღეს, ოქტომბრის 50 წლისთავზედაც განუწყვეტლივ უჩიჩინონ თავში, რომ სწორედ დღესაა საქართველო თავისუფალი, სწორედ დღესაა საქართველო სუვერენული! ამის მიზეზია, უთუოთ, ის, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობას მოსვენებას არ აძლევს ის ფაქტი, რომ იმ დროს, როცა მსოფლიოს ყოფილმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა—

საფრანგეთმა და ინგლისმა—გაანთავისუფლეს თავის ბატონობის ქვეშ მყოფი ქვეყნები, საბჭოთა პარტიული ხელმძღვანელობა ისევ განაგრძობს თავის ბატონობის ქვეშ მყოფი ერების ეროვნული უფლებების სრულ უგულებელყოფას და ყველაფერი ეს კარგად იციან თავი საბჭოთა კავშირში მოქცეულმა ერებმა. ამიტომ ცდილობს პარტხელმძღვანელობა მასობრივი მედიუმებით—პრესით, რადიოთი, ტელეხედვით, —იმდენი უჩიჩინოს თავში საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერებს, რომ ისინი თავისუფალია, რომ მათ გააჩნიათ ეროვნული სუვერენიტეტი—რომ ამ გზით გაახანგრძლივოს საბჭოთა ახალი ტიპის იმპერიის არსებობა; ვამბობთ, «გახანგრძლივოს», ვინაიდან, ჩვენ გვჯერა, რომ ატომურ ეპოქაში შეუძლებელია ერთმა ერმა ასე განუსაზღვრელად იბატონოს სხვა ერებზე იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ეხება ისეთ პატარა ერს, როგორიც ქართველი ერია. ამიტომ ჩვენ მოველოდით, რომ «ცენტრის» პარტიული ხელმძღვანელობა განსაზღვრულ დამობობებზე წავიდოდა საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერების წინაშე სწორედ ეროვნულ საკითხში; მისცემდა მათ უფრო მეტ ეროვნულ თავისუფლებას, უფრო მეტ მოქალაქეობრივ თავისუფლებებს. ჯერჯერობით ამგვარ დამობობებზე არ მიდის «ცენტრის» პარტიული ხელმძღვანელობა; მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხიც დადგება მთელი თავისი მნიშვნელობით მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის წინაშე და მაშინ ის იძულებული გახდება მოიფიქროს, თუ როგორ უნდა გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების ერების ეროვნული თავისუფლება, რომ ამ ერებმა მოიპოვოს ნამდვილი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, გახდნენ მსოფლიოს ერთა თავისუფალი ოჯახის თავისუფალი წევრი.

და თუ ეს განხორციელდება ცხოვრებაში, მაშინ ის ფიქტიური სუვერენიტეტი, რომელიც დღეს გააჩნია საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით, შეიცვლება ნამდვილი სუვერენიტეტით, რაც ყველაზე უფრო სასურველია ოცნებაა ქართველი ხალხისათვის, მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის.

კ. ინასარიძე.

პიათუჩის წარსულიდან.

ოქტომბრის 50 წლის დღესასწაულის ჩასატარებლად—ჩვენს ქვეყანაშიც ჯობრია გამართული. მოსკოვის ერთგულნი ვრი-მეორეს ეცილებიან, რათა შეაქონ, აღიდონ უცხოეთიდან შემოტანილი დოკუმები, რადგან ხომ ვიცით, რომ საქართველომ უარყო ოქტომბერი, მისი ექსპერიმენტები. ყოველი დღესასწაული საბაბია იმისთვის, რომ მოუწოდონ ხალხს მე-

ტი ინდუსტრიალური წაყიდვის მისაღებათ, მეტი პროდუქციების დასამზადებლათ.

ცვივა მოწოდებები: მეტი ჩაი, მეტი მარგანეცი, მეტი ღვინო, მეტი ფულადი. ყოველდღიური ქურნალი გადაკრელებულია: «მივცეთ სამშობლოს, შევასრულოთ დანაკვეთები», უნდა ვიგულისხმოთ,—ეს მოწოდებები მოსკოვისთვის არის, რომელსაც ესაჭიროება ჩვენი ქვეყნის ბევრი პროდუქციები უცხოეთში გასატანათ და იქიდან ვალიუტის შესაძენათ...

50 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით მოუსურვებია ანზორ კაპანაძეს თავის «რევო—ნურ გამოსვლების ეპიზოდებში» (იხ. მნათობი № 1, 1967). მოიგონოს უმთავრესად ჭიათურის ამბები, მხოლოდ რადგან ამის მომსწრე არ იყო, განუზრახავს მოჭორილ-მოგონილი ცნობებით მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს.

ანზორ კაპანაძეს სურს დაამტკიცოს, რომ 1917 წლიდან ვიდრე 1921 წლისა ჭიათურის მუშებში იყო დიდი უკმაყოფილება, დიდი აფიცვები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები. ეს ხანა დამოუკიდებლობის ხანაა. კაპანაძეს ამით განუზრახავს დაამტკიცოს, რომ ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებული იყვნენ ჭიათურის მუშები. ესაა მტკნარი სიცრუე... არავითარ გაფიცვებს ადგილი არ ჰქონია დამოუკიდებლობის ხანაში. გაჭირვება იყო—ამას თავის ასახსნელი მიზეზი აქვს, მაგრამ მუშები იტანდნენ ამ სივიწროვეს და გასაჭირს, რადგან ჰქონდათ შეგნებული მოპოვებული თავისუფლების ფასი, შეგნებული ჰქონდათ, რომ ომიდგან და რევოლუციიდან დაქანცული ქვეყანა აღმშენებლობაში ჩაბმული—მცირე ხანში ვერ დაამყარებდა ყველასთვის სანეტარო ცხოვრებას...

უმეცარი ანზორ კაპანაძე ცდილობს ასიამოვნოს თავის ხაზინებს და დამოუგონებია თითქოს 1917 წლიდან 1920 წლამდე სულ გაფიცვები იყო ჭიათურაში. დაუშვათ, რომ გაფიცვებს ადგილი ჰქონოდა, ის არ იქნებოდა სისხლში ჩახჩობილი ისე როგორც ეს შეიძლება ყოფილიყო ოქტომბრისგან შექმნილი რეჟიმით, როცა ყოველგვარი საპროტესტო მოძრაობა, გაფიცვა, სასტიკადაა აკრძალული.

ტყუილია, თითქოს გერმანელებთან რალაც დელეგაცია გაიგზავნა. გერმანელები არასოდეს ჩარევიან საქართველოს შინაურ საქმეებში. სჩანს დღემდე ვერ მოინელეს ანზორმა და სხვებმაც გერმანელთა მეგობრული დახმარება. როცა ისინი წინ გადაელობენ სამხრეთიდან მოწოლილ ჯარებს და შით დაეხმარენ ქართველობას—გადაერჩინათ მოპოვებული ეროვნული თავისუფლება კაპანაძე ყალბად აშუქებს საჩხერის გამოსვლებს. საიდან მოჭორა ყველაფერი ეს? სიმართლე ასეთია: ბოლშევიკური დემაგოგიით დამთვრალი, ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაერიენ ყაზარმებს, და-

იტაცეს რის წაღებაც კი შეიძლებოდა. მათში იყვნენ რუსის ჯარისკაცებიც, როცა ნადავლი გამოილია, მათ ხელი მიჰყვეს ცარცვას, ქურდობას. ოსეთიდან გადმოსული მოსკოვის აგენტები სწორედ ამ ბნელ ძალებს დაეყრდნო—ცდილობდნენ ხალხის აჯანყებას, გადმოვიდნენ საჩხერეში—შეცდომაში შეიყვანეს მცხოვრებთა მცირე ნაწილი (იხ. ვ. ჩუბინიძის წიგნი. 1938). საჩხერეში არასდროს არ ყოფილა ვ. ჯუღელი. აღგილობრივ მცხოვრებთ ყოველგვარ ზევიდან ძალდატანების გარეშე—გამოჰქონდათ რეზოლიუციები საჯარო კრებებზე, გშობდნენ პროვოკაციულ გამოსვლებს და აღუთქვამდნენ ეროვნულ მთავრობას მხარის დაჰყვრას...

ე. წ. «აჯანყებულები» შეეფარნ ს. ხრეთის: ს. ბაღრაძე, გ. გაბელიძე, სეფე ბაზაძე, ყოფილი «გაზრდოვანი» რომელიც ზ. გურულს სდევდა ბაქოში, ნ. ცერცვაძე ქურდი, კუპატაძე—დენერტირი და ზარმაცი, არჩილ გოცაძე დენერტირი-მჩქიფე, შინელიძე წისკვილის გამტენი. ამ აი ყაჩაღების ჯგუფი თავს დაესხა ალექსი კობალაძის ოჯახს დაგაძარცვეს. ეს ოჯახი 1937 წელს დახვრიტეს.

ჩხარში მომხდარი თითქოს გლეხთა «აჯანყება კაპანაძის ფანტაზიის ნაყოფია. აკი თვითონ აღიარებს: გადმოვიდა ბოლშევიკური კომიტეტი, სწორედ ამ მოსკოვის ფულით, კომიტეტმა შეიყვანა შეცდომაში ზოგიერთი ოჯახი... მაგრამ ვინ ჩააქრო ეს «აჯანყება»—თვით ადგილობრივმა გლეხობამ და მით მხარში ამოუდგენ რესპუბლიკის მთავრობას.

კაპანაძეს მოჰყავს ფ. მახარაძის წერილი, სადაც ეს ჩვენი ქვეყნის მოღალატე, აღნიშნავს თურმე გლეხობის «აჯანყების» ჩაქრობას და მზადებას ახალი გამოსვლებისთვის; მაგრამ ანზორმა არ იცის, რომ სწორედ ფ. მახარაძემ ჩააქნია ხელი საქართველოს გლეხების და მუშების მიმხრობაზე, გაიქცა მოსკოვში, რომ სხვებთან ერთად შეთქმულება მოეწყო საკუთარ სამშობლოს წინააღმდეგ, ხოლო როცა რუსის ჯარი შემოვიდა, მას ერთი კომუნისტური უჯრედი არ დახვდრია—რასაც თვითონ აღიარებს მოსკოვში გაგზავნილ პატაკში.

კაპანაძე ბევრს ლაპარაკობს გაფიცვებზე და აჯანყებებზე... მაგრამ როცა 1924 წელში ჭიათურის მუშებმა მართლაც მოაწყვეს აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მათ სურდათ გადაეგდოთ ეროვნული და სოციალური მონობის უღელი, დაებრუნებიათ თავისუფლება, რომელიც თქვენ მათ მოუხსპეთ რუსის ხიშტების საშუალებით...

კაპანაძე ლეჰავს რამდენიც კი შეუძლია—ათასჯერ მოგონილ ამბავს, თითქოს აჯანყებული მუშების და გლეხების დასახმარებლად შემოვიდა ჩვენში რუსის ჯარი. ისტორიული სინამდვილე დღეს ყველამ იცის, ჩვენ მას აღარ გავიმეორებთ, —ეს იქნებოდა კაპანაძეზე როგორც მგლის თავზე სახარების კითხვა.

ზემო-იმერელი.

გ ა კ ვ რ ი თ.

ნახევარი საუკუნის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ქართველი, უსათუოდ ნახულობს მატერიალურ და ტექნიკურ მიწვევებს. დღევანდელ ინდუსტრიალურ ხანაში, წარმოუდგენელია, რომ ქვეყნის ეკონომიური განვითარება ერთ წერტილზე გაყინულიყოს, იგი ხომ გაცილებით მეტი იქნებოდა და ერიც არ დაჰკარგავდა თავის ეროვნულ თავისუფლებას. არ გაიქლიტებოდა მრავალი ათასობით ქართველობა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება შერჩენოდა. ქარხნები, რომლებიც დღეს ჩვენში ამზადებს პროდუქციას, დანიშნულია უმთავრესად საქესპორტოთ, მისგან შემოსული ვალიუტა მიდის მოსკოვის სალაროში... სამრეწველო დარგებისთვის ათასობით უცხო მუშების ჩამოსახლება კი იწვევს დენაციონალიზაციას.

«ბედის მაძიებელი» რომ ქუთაისში ჩასულა (იხილეთ «სამშობლოს ხმა» № 17) და აღტაცებულია შენობების ხილვით, იგი რატომ ვერ შეამჩნია, თუ როგორ გავსებულია რუსობით «ჩვენი» სუფთა ქართული ქალაქი და რამდენი უურნალ-გაზეთი გამოდის უცხო ენაზე?

ღარიბი პოლიტიკური გონების ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ერისა და ხალხის უფლება არც სახლების სართულებით განისაზღვრება და არც ჩაის ბუჩქებზე დახურდავდება.

დანარჩენი შემდეგ.

ილ, ბანველი.

სოლჩინიციის წაჩილი.

ფრანგულ და საზღვარგარეთელ რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი წერილი საბჭოთა მწერლის სოლჩინიციის, მიმართული საბჭოთა მწერალთა მე-IV კონგრესისადმი.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვისაც ინტერეს მოკლებული არ იქნება ამ წერილის გაცნობა, და იმიტომ ამ ვრცელი წერილის მოკლე შინაარსი მოგვყავს ჩვენი უურნალის ფურცლებზე.

აი როგორ იწყებს ამ მიმართვას ზემოთ დასახელებული მწერალი:

«ვინაიდან მე არ დამიშვებთ თქვენს კონგრესზე, და არ მაქვს საშუალება მისი ტრიბუნიდან მოგმართოთ, ამიტომ გიგზავნით ამ წერილს და გთხოვთ გაარჩიოთ შემდეგი:

1. ის ყოვლად დაუშვებელი შევიწროება, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში განიცდის ჩვენი მხატვრული ლიტერატურა ცენზურის გამო, და რომელსაც მომავალში მწერალთა კავშირი აღარ უნდა შეუერივდეს.

საჯაროთ თითქოს არ არსებული ცენზურა, მალულათ, შეფარებით გვევლინება რაღაც გამოგონილი «გლავლიტ-ლი»-ს სახელით, ბრძანებლობს ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაზე, სადაც მოკალათებული არიან ყოველად უვიცი და უცოდინარნი პირნი, და მთლიანათ დამოკიდებული ვართ მათ ნებასურვილზე.

ჩვენს მწერლებს არ აქვთ უფლება, წინდაწინვე რაიმე ახალი აზრი გამოთსთქვან ადამიანზე, საზოგადოებაზე, ანდა თავისებურათ გააშუქონ სოციალური საკითხები და დაფასება მისცენ ისტორიულ ფაქტებს. ყველაფერი იკრძალება და საშინელ გადაძახინჯებულათ მიდის მკითხველამდის. კავშირის წევრებმა და ბევრმა დელეგატებმაც კარგად იცით თუ როგორ დაწოლას ახდენენ თქვენზე, და როგორ გაცვლევინებენ თქვენ ხელნაწერებში გატარებულ აზრებს, და თქვენც იძულებით მორჩილობთ, სცვლით მთელ თავებს, აბზაცებს, წინადადებებს და საბოლოოთ იცემიან უაღრესად დამახინჯებულათ და შეცვლილათ. ამას თან ერთვის ცენზურის მიერ გამოგონილი იარლიკები «იდეოლოგიურათ მავნებელი» და სხვა. ეს ყურით მოთრეული იარლიკები არ არიან ხანგრძლივი, იცვლებიან ჩვენს თვალწინ. თვით დოსტოევსკი მსოფლიო ლიტერატურის სიამაყე, ერთ დროს აღარ იბეჭდებოდა (ეხლაკი იბეჭდება თუმცა არა მთლიანათ) გაძევებული იყო სასკოლო პროგრამიდან, ვერ იწონიდათ საკითხავათ. რამდენ წელს ითვლებოდა «კონტრევოლიუციონერათ» ესენინი (მისი კითხვისათვის ციხესაც უსჯიდენ), ან და არ იყო გამოცხადებული «ანარქიულ პოლიტიკურ ხულიგნათ» მაიაკოვსკი? 20-30 წლის დაგვიანებით დაგვიბრუნეთ ბუნიინი, ბულგაკოვი და სხვები. სიკვდილის რამოდენიმე წლების შემდეგ გვიბრუნებენ სიცოცხლეში დევნილ მწერლებს «შეცდომებით, განმარტებებით».

დიდი ხანი არაა პასტერნაკის სახელის ხსენებაც კი აკრძალული იყო, ეხლა კი მისი, სიკვდილის შემდეგ იცემა მისი ნაწერები, ლექსები მისი სანიმუშოდაც კი იკითხება საზოგადო ფიციალურ დღესასწაულზე. ქეშმარიტათ აღსდგენ პუშკინის სიტყვები: «მათ იციან მხოლო მიცვალებულთა სიყვარული?»

საბოლოო ანგარიშში «ნება დართეს» წიგნების გამოშვება, მწერლების აღდგენა, მაგრამ მაინც ველარ ავსებენ იმ მხატვრულ და საზოგადოებრივ დანაკარგებს, იმ შევიწროების და დამახინჯების გამო, რომელსაც განიცდის ჩვენი მწერლობა.

ლიტერატურა არ ვითარდება «გაუშვებენ არ გაუშვებენ» ეს «შეიძლება ეს არ შეიძლების» პოლიტიკით.

ლიტერატურა რომელიც არ გამოხატავს თანამედროვე საზოგადოებას, და ვერ ბედავს გადმოცემას ნამდვილ საზოგადოებრივ, სოციალურ ტკივილებებს, თუ მიღწევებს, ველარ

იმსახურებს ნამდვილ ლიტერატურის სახელს. ასეთი ლიტერატურა ჰკარგავს ნდობას ხალხისას, და ვეღარ იზიდავს მკითხველს. ჩვენმა ლიტერატურამ დაჰკარგა ნამდვილი როლი მსოფლიო ასპარეზზე, რომელიც მას ეჭირა გასულ საუკუნეში. ამიტომ მე მოგმართავთ მოითხოვოთ და მოიპოვოთ გაუქმება ყოველგვარ აშკარა თუ მალულ ცენზურისა მხატვრულ ნაწარმოებზე, არცერთ გამომცემლობას აღარ უნდა დასჭირდეს ნებართვის აღება ბეჭდვით გამომცემლობისათვის.

2. მწერალთა კავშირი არ ღებულობს მოვალეობათ რათა დაიცვას ყველა მისი წევრები, რომელიც გატარებულია მის წესდებაში, და არასოდეს არ ესარჩლება დევნილ მწერალთ.

ბევრ მწერლების წინააღმდეგ გაილაშქრეს, ცილი დასწამეს, და არცერთს არ მიხცეს საშუალება თავი დაეცვათ ცილისწამებიდან (ახმატოვი, პასტერნაკი, ალ. გვინი, გრიმანი), მწერალთა კავშირმა არამც თუ აიღო თავის თავზე მათი დაცვა, არცკი დაუთმო მათ თავის დასაცავათ მისი ორგანოს ფურცლები, და თვითონ კავშირი გახდა პირველი მათი მდევარი.

მე-XX საუკუნის ჩვენი საამაყო მწერლები გამორიცხულ იქნენ კავშირიდან, ლაჩრულათ ეს უკანასკნელი ზურგს იბრუნებდა იმ მწერლებიდან რომლებსაც სასიკვდილოთ გზავნიდნ ლაგერებში (ვასილიევი, მანდელშტამი, ტაბიძე, პოლინიაკი, ბაბილ და სხვები), ამ ჩამოთვლაში ჩვენ ვხმარობთ სიტყვას «სხვები» რადგან შემდეგ გავიგეთ მე-XX პარტიულ კონგრესიდან, რომ მათი რიცხვი 600 მდის აღწევდა. ასე მორჩილათ გაეციოთ თქვენ სრულიად უდანაშაულო მწერლები და გაისტუმრეთ ციხეებსა და ლაგერებში.

მე გირჩევთ რათა ხაზგასმით იქნეს აღნიშნული თქვენი წესდების მე-22 მუხლში მფარველობა ყველა წევრების გარანტიით მათი თავდაცვის, როცა მათ უმართებლოთ ცილს წამებენ და სდევნიან. უკანონობა აღარ უნდა იქნეს განმეორებული. თუ კონგრესი არ გამოიჩენს გულგრილობას ჩემს მომართვაზე მე მას ესთხოვ ყურადღება მიაქციოს პირადად ჩემი ნაწერების აკრძალვას და დევნილობას. აქ მწერალი აღნუსხავს ყველა მის ნაწერებს (რომანები, პიესები) რომლებიც ან სულ აიკრძალენ ანდა გადაკეთებულ-გადამახინჯებულათ გამოიცენ მისი სურვილის წინააღმდეგ. ამასთანავე აღნიშნავს თუ როგორ ჩამოართვეს მას მისი პირადი ლიტერატურული არხივი.

მთელი ომი გავატარე ფრანტზე ბატარეის უფროსათა, ამბობს ავტორი, მაქვს მიღებული საამისო ჯილდოებიც, და ცილს მწამებენ, რომ ვარ სისხლის სამართლის დამნაშავე, გადაველ თითქოს ტყვეთ (არასოდეს არ ჩავარდნილვარ ტყვეთ), «ვლალატობდი სამშობლოს», «ვმუშაობდი გერმანელებთან».

აი როგორი მოტივით ამართლებენ ჩემს თერთმეტი წლის

ლაგერებში და გადასახლებაში ყოფნას, სადაც მე სინამდვილეში სტალინის კრიტიკისათვის მოვხვდი.

ამასთანავე მე შეკრძალება ყოველგვარი კონტაქტი შკითხველთან, საჯარო გამოსვლები პრესაში ან რადიოში, საბოლოოთ მთელი ჩემი ნამუშევარი დამალულია, ჯურღმულშია ჩაკეტილი. ასე უმართებულოთ და უსამართლოთ ჩემი ავტორის უფლებების დარღვევას და შელახვას საბოლოოთ დაცავს თუ არა მწერალთა კავშირი?

მე დაწყნარებული ვარ იმით, რომ ჩემს მწერლის მოვალეობას პირნათლათ მოვიხდი, ყოველნაირ მდგომარეობაში. შეიძლება საფლავიდან კიდევ უფრო წარმატებით შევასრულო ეს მოვალეობა ვინემ სიცოცხლეში. არავის არ აქვს შესაძლებლობა სიმართლეს გზა გადაუღობოს. მე მზათ ვარ მისთვის კიდევაც მოვკვდე. შეიძლება ბევრმა გაკეთილმ- გვა-სწავლოს რომ, მწერლის კალამი არასოდეს არ უნდა შეჩერდეს ძალით მის სიცოცხლეში».

კავკასიის პარტიის

დამოუკიდებლობის დღესახაწაული მ. შტატებში.

გაერთიანებული კავკასიის ორგანიზაციამ: სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და ჩრდილო-კავკასიის დამოუკიდებლობის ორმოცდამეცხრე წლისთავი დიდი ზეიმით აღინიშნა ქ. ნიუიორკში.

უწარმაზარი დარბაზი მორთული იყო ამერიკული და კავკასიის ერების ეროვნული დროშებით;

კავკასიელების გარდა, ზეიმს მრავლად დაესწრენ საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენლები.

ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალვაჟები, უცხოელების და კერძოთ ჟურნალისტების აღტაცების და ცნობისმოყარეობის ცენტრში იყვნენ.

სალამოს რვა საათზე საზეიმო სხდომა მისმა საბ ტიოთა-ვმჯდომარემ. აზერბაიჯანის ამერიკული საზოგადოების პრეზიდენტმა რაპიმ ბაბაოღლუმ და გ. კ. ო—ის თავმჯდომარეს, ბ-ნ ალექსი ჩხენკელს სთხოვა საზეიმო კრებისთვის ხელმძღვანელობა გაეწია. მოკლე მიმართვის შემდეგ თავ მჯდომარემ დამსწრეთ სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი ეცათ კავკასიის ერების ეროვნული დროშებისთვის.

ბ-ნ ალ. ჩხენკელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო კავკასიის ერების მრავალი ათასწლოვანი ისტორია და ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის მუხანათური ბუნება, რომელიც დღესაც არსებობს. მისი ვრცელი, ფრიად შინაარსიანი და დოკუმენტალური ხასიათის სიტყვა, დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კავკასიელების დიდმა მეგობ-

ბარმა, ქალაქ ნიუიორკის ქალაქის თავის მოადგილემ ფერდინანდ ბიუნომ.

შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს: სომხეთის დამოუკიდებლობის ამერიკული კომიტეტის თავმჯდომარემ არმენ შამანიანმა, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიის ქვეყნების, უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენლებმა.

საკუთარ ენაზე მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს: სომხეთის წარმომადგენელმა დრ. უნგერ მარქარიანმა, აზერბაიჯანის წარმომადგენელმა პასსენ პაზერმა. ქართული სათვისტომოს წარმომადგენელმა ირ. მანთეთაშვილმა და ჩრდ.-კავკასიის წარმომადგენელმა კადირ ნატკომ.

ფეხზე ადგომით მოსმენილი იქნა კავკასიის ეროვნული ჰიმნები: როცა ერთი კავკასიელი ერის ჰიმნი სრულდებოდა, ამ ერის დროშა აღმართული იყო, სხვა ერების კი დახრილი —სალამის ნიშნად.

შემდეგ წაითხული იქნა მისალოცი წერილები და დეპუტები: შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი, ნიუიორკის შტატის გუბერნატორი როკფელერი, საგარეო საქმეთა მინისტრი როსკი, ნიუჯერზის შტატის გუბერნატორი რიჩარდ ჰიუზი და ნიუიორკის ქალაქის თავი ჯონ ლინდსი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ნილსონი...

სენატორებმა: დირკსენმა, ქიევიტმა, ედ. კენედიმ, რობერტ კენედიმ, რადიო თავისუფლების პრეზიდენტმა პაულონდ სარჯანტმა—ვრცელი წერილებით აღნიშნეს.

დღესასწაული იყო ფრიად შინაარსიანი მანიფესტაციო კავკასიის ერების სოლიდარობისა და მეგობრობის.

ქუშმარიტად ჩვენს მეგობარს ალ. ჩხენკელს მიუძღვის კავშირის და დღესასწაულის მოწყობის საქმეში დიდი დამსახურება.

X.

სანდრო ჰუმნიას ხსოვნას

აბონდანის მოხუცთა თავშესაფარში ტრადიკულათ დილიუპა ჩვენი კარგი თანამებრძოლი ამხანაგი სანდრო ჰუმანია. ყველასთვის გასაოცარი და საკვირველი დარჩა ეს მოულოდნელი ამბავი... რაინდულმა სულის ადამიანმა, მუდამ მხნემ და გულადმა, თვითონ მოულოდნელათ ბოლო მოუღო საკუთარ სიცოცხლეს, და მით უსახღვრო მწუხარება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში...

განსვენებული ეკუთვნოდა იმ თაობას, რომლისთვისაც რწმენა, ერისთვის თავდადება, ერთხელ აღებულ გზაზე სიმართლით სვლა შეადგენდა, მათი ცხოვრების მოწოდებას.

სანდრო, თუ ღრმა მოხუცებულობამდის მხნეთ და ვაეკაცურად ცხოვრობდა, მისი თვითმკვლელობა გამოწვეულია



იმ ღრმა სევდით, რასაც ქართველები ვერ იტანენ, ეს საკუთარი ოჯახის საუდამო განშორებას. ამ უკანასკნელ ხანებში სანდრო ინახულა მისმა შვილმა, ამ ხანმოკლე სტუმრობამ, უნდა ვიფიქროთ, მთელი სიჭიმით აგრძობინა სანდროს, რომ ის ვერასოდეს ველარ იხილავდა მის დიდ ოჯახს, რომელიც მას საქართველოში ჰყავდა...

განსვენებული იყო გულწრფელი მეგობარი, ზრდილი, თავაზიანი, სტუმართმოყვარე, ადამიანი გაშბედავი, მგრძობიარე, ენა მოსწრებელი, გონება დამდგარი მეტყველი.

ამხანაგებს ზშირათ მოუსმენიათ, მისი მსუბუქი კალმით დაწერილი ლექსები, ღრმა ნაახრევი, და სხარტულათ გამოთქმული.

სანდრო, მის პატარა სამშობლო გურიაში ცნობილი იყო, როგორც ამხანაგი და მოქალაქე, სამაგალითო ადამიანი, გულუხვი, სამართლიანი, ყველასთვის გულშემმატკივარი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე სანდრო ჩადგა მებრძოლთა რიგებში, რომ დაეცვა ფეხზე ახლად დამდგარი სამშობლო, ხოლო უცხოეთში, ის იყო ყველასთვის სიმტკიცის მაგალითი, საერთო საქმისადმი გაუტყეხელი მებრძოლი.

მისი საყვარელი შვილი არჩილი ხელმეორეთ ჩამოვიდა, მაგრამ ვაი რომ ცოცხალს ველარ მოუსწრო.

სანდრო დასაფლავებული იქნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე. გამოსათხოვარი, მგრძობიარე სიტყვა მიუძღვნა, პოეტმა გიორგი ყიფიანმა.

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.

მეგობარი.

გარღნიცვალენ:

მიხეილ აღშიბაია ჰამბურგში 13 აგვისტოს. დასაფლავებულია სოფ. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ილამაზ დადეშველიანი 5 ნოემბერს. დასაფლავებულია «ბატინიოლ»-ის სასაფლაოზე.

ფლინა ბერნარის ასული-ვლახა იმნაძისა 6 დეკემბერს. დასაფლავებულია მეულესთან ლევილის ძმათა სასაფლაოზე

ფარისპან მდივანი 7 დეკემბერს. დასაფლავებულია სოფ. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ელენე მკლიავა 9 დეკემბერს. დასაფლავებულია კლიშის სასაფლაოზე.

მიხეილ მაკარაშვილი 18 დეკემბერს. დასაფლავებულია სოფ. ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

რედაქცია გულწრფელ თანაგრძობას უცხადებს გარდაცვალებულთა ოჯახებს და მათ მეგობრებს.

სიმონ მდივნის პანაშვილი.

ამაწლის 10 დეკემბერს, ქართულ ეკლესიაში გადახდილი იქნა პანაშვიდი დამოუკიდებელ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის სიმონ მდივნის სულის მოსახსენებლად, გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო. დაესწრა მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

გალობდა ქართული გუნდი.

ქართველობა უცხოეთში.

26 მაისი პარიზში.

წელს ეროვნული დღესასწაული განსაკუთრებული შინაარსით ჩატარდა. საზეიშო სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა—მოკლე შინაარსიანი სიტყვით. იყო დაჩაგრულ ერებიდან მისალმებები.

როგორც ჩვეულებრივად, ქართველ ახალგაზდობამ თავიანთი სიმღერებით და ცეკვებით ფრიად ასიამოვნეს ქართველ საზოგადოებას და მრავალრიცხოვან დამსწრესტუმრებს.

26 მაისი ხელშეშე.

როგორც მუდამ წელს შეიკრიბა სოშოს ქართველობა საზოგადოების ბინაზე სადღესასწაულოთ, მორთულ დარბაზს ამშვენებდა ჩვენი ეროვნული მეთაურების და პოეტების სურათები. დილის 10 საათზე კრებას ხსნის სათვისტომოს თავმჯდომარე სეფ. ჭირაქაძე, რომელიც ესალმება ქართველობას და მოკლეთ მოუთხრობს დამსწრეთ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიას და უსურვებს გამძლეობას. სიტყვები წარმოასთქვს: ალ. შათირიშვილმა, ბ. ზედგინიძემ, ბ. ქლენტმა, ი. სალუქვაძემ და სხვებმა. პატარა მალხაზმა პატრისია ი. სალუქვაძის შვილის შვილი გულმკერდს უმშვენებდა დამსწრეთ პატარა ეროვნული დროშებით.

რის შემდეგ გაიმართა ქართული მაგიდა და ლხინმა გასტანა საღამომდე.

3. ხარჯველამის მოხსენება.

ამაწლის 15 ოქტომბერს, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამართულ ქართველთა საზოგადო კრებაზე—3. ხარჯველამემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ოქტომბრის რევოლუციის 50 წლის თავი».

მოხსენებამ გამოიწვია ცხოველი ინტერესი.

ვ. ნიჭაძის მოხსენება.

ამა წლის 19 ნოემბერს, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის მიერ გაშართულ კრებაზე ბ-ნ ვიქტორ ნიჭაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში».

მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი, რის შემდეგ გაიმართა ახრთა გაცვლა-გამოცვლა,

ლ დ ხ დ დ ნ ი.

მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს, შედგა ქართველთა სოციალისტოზმოს საზოგადო კრება.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარე აკ. რამიშვილი, მდივანი ე. ფაშალიშვილი; წევრები გ. ჯავახიშვილი, ავ. ფარჯანაძე, დ. შოდრეკელიძე. სარევიზიო კომისიაში დ. ვანაძე, ბ. ქუთათელიაძე.

30 ოქტომბერს ლონდონის ერთ-ერთ დიდ დარბაზში, მოხდა კომუნისტური ხელისუფლების მსხვერპლთა მოსაგონარი სამგლოვიარო სხდომა, რომელსაც დაესწრო ქართველებიდან დელეგაცია—აკ. რამიშვილი, ე. ფაშალიშვილი, გ. ჯავახიშვილი.

უკრაინელთა მიერ მოწყობილი—უკრაინის 50 წლის ეროვნული რევოლუციის აღსანიშნავად მოწვეულ სხდომაზე—აკ. რამიშვილი გამოვიდა გრძნობიერი მისახალმებელი სიტყვით, რომელმაც მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება.

ახალი წიგნაკი.

გამოვიდა ა. ბადრიძის წიგნაკი «ლექტორის შედეგები». შიგ მოთავსებულია: 1) ოქტომბრის შეთქმულება, 2) ინდუსტრიალიზაცია, 3) ახალი ეკონომიური რეფორმა, 4) რუსიფიკაცია, 5) საბჭოთა ადამიანი, 6) ახალგაზდობა, 7) ოქტომბერი და საქართველო, 8) დასკვნები.

ამ წიგნაკის შექმნა შეიძლება «ჩვ. დრ.» რედაქციიდან.

•ჩვენი ღკოზა•-ს ფონდი.

შემომწირველთა სია:

პრ. ინწკირველი	100	ფრანკი
გრ. ბარამიძე	100	„
ე. ბ.	100	„
ლ. არველაძე	95	„
ლ. აბდუშელი	50	„
სოზოს სოც.-დემ. ორგანიზაცია	46	„
კ. გუნია	20	„
ქრ. იმნაიშვილი	10	„
პ. ს.	10	„

რედაქცია მოუწოდებს ამხანაგებს და თანამგრძნობთ, დაგვეხმარონ მომავალი ნომრის გამოცემაში.